ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6024784

ნომერი: AR1899913

თარიღი : 23.05.2022

გაცემის თარიღი : 07.07.2022

გაცნობის თარიღი : 08.07.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზარწემის ქუჩა, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მილენა ცუცქირიძე პ/ნ 01001090860
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VI მიკრო/რაიონი, კორპუსი 7, ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 23 მაისის №AR1899913 განმეორებითი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ამავე სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №5298124 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და თითოეული ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცალ-ცალკე დაფიქსირება.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 10 ივნისის №5975661 ბრძანებითა და 2022 წლის 14 ივნისის №5983516, 2022 წლის 28 ივნისის №6007096, 2022 წლის 1 ივლისის №6014806, 2022 წლის 5 ივლისის №6021646 გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი და შეთანხმებული გეგმები ისევ შეუსაბამოა ერთმანეთთან, მაგ.: +3.10 ნიშნულის გეგმაზე №2 სახლის „გ-ბ“ და „1-2“ ღერძებში „2“ ღერძის გასწვრივ მდებარე კარის ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და ამასთან, სამსახურის მიერ არაერთხელ მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ იქნა გამოსწორებული, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2022 წლის 23 მაისის №AR1899913 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.